სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

01/08/2025

MES 6 25 0000942865

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) წესდების, დოქტორანტურის დებულების და სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის N01-05-04/131 და 2025 წლის 29 ივლისის N01-05-04/133 დადგენილებების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2025/2026 სასწავლო წელს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამების სწავლების პირველ წელზე;
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზ. ბუაჩიძეს;
3. სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია განხორციელდეს ელექტრონულ პლატფორმაზე - register.gtu.ge ან შესაბამის ფაკულტეტზე **2025 წლის 10 სექტემბრიდან 16 სექტემბრის** ჩათვლით (განცხადების ფორმა იხ. დანართში 1, რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია იხ. დანართში 2);
4. ელექტრონულ პლატფორმაზე აპლიკანტის მიერ ატვირთული საბუთების პირველადი შემოწმება დაევალოთ შესაბამისი ფაკულტეტის უფლებამოსილ პირებს (საკონტაქტო პირები ფაკულტეტების მიხედვით იხ. დანართში 3);

5. ფაკულტეტებიდან დოკუმენტაციის მიღებაზე უფლებამოსილი პირის მიერ ვიზირებული განცხადებები არსებული წესის (საქმის წარმოების სისტემის (eflow) მეშვეობით) თანახმად გადაეგზავნოს სტუ-ის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების სამსახურს;
6. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის შესაბამისად **გამოცდა უცხო ენაში ჩატარდეს 2025 წლის 18 სექტემბრის 10^{00} საათიდან, სტუ-ის** I კორპუსში, საგამოცდო და ელექტრონული სასწავლო რესურსების ცენტრში (კომპიუტერული ცენტრი -1, მე-6 სართული, კომპიუტერული ცენტრი - 2, პირველი სართული; კოსტავას ქ. N68).
7. **უცხო ენაში გამოცდის პირველადი შედეგები** გამოქვეყნდეს **2025 წლის 19 სექტემბერს,** საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს **2025 წლის 18 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით 12^{00} საათამდე** (კვირა დღის გარდა) **გამოცდის ჩატარების ადგილზე** საბოლოო შედეგები აპელაციის გათვალისწინებით გამოქვეყნდეს **22 სექტემბერს** სტუ-ის ვებგვერდზე;
8. **გასაუბრებები საფაკულტეტო დროებით მიმღებ კომისიებთან ჩატარდეს 2025 წლის 24 სექტემბერს 10^{00} საათიდან.** გასაუბრების შედეგები (საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი - ჩასარიცხ აპლიკანტთა სია) გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2025 წლის 25 სექტემბერს. **საპრეტენზიო განცხადებების მიღება მოხდეს 2025 წლის 25 სექტემბრიდან 26 სექტემბრის 16^{00} საათამდე**. ჩასარიცხ აპლიკანტთა სიები (აპელაციის გათვალისწინებით) გამოქვეყნდეს სტუ-ის ვებგვერდზე 2025 წლის 29 სექტემბერს;
9. საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში (**2025 წლის 30 სექტემბერიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით (კვირა დღის გარდა), აპლიკანტი ვალდებულია გააფორმოს უნივერსიტეტთან აკადემიური (სასწავლო) და ადმინისტრაციული (საფინანსო) ხელშეკრულებები**;
10. სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურში საფაკულტეტო დროებითი კომისიების თავმჯდომარეებმა მოხსენებითი ბარათები, საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები) და აპლიკანტთა ხელშეკრულებები (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს) უნდა წარმოადგინონ 2025 წლის 8 ოქტომბერს;
11. სასწავლო პროცესების მართვის სამსახურმა 2025-2026 სასწავლო წლისათვის სტუ-ის სადოქტორო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება), არაუგვიანეს 2025 წლის 15 ოქტომბრისა;
12. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს თ. წერეთელს;
13. ბრძანება განთავსდეს სტუ-ის ვებგვერდზე;
14. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმის წარმოების სამსახურმა;
15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი